განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკა
საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2021 წლის 17, 18 და 19 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

17 დეკემბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ჟურნალისტიკა Journalism
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის ბაკალავრი BA of Journalism
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა - 0321 Journalism and Reporting
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 09.09.2011; გადაწყვეტილების № 03

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ-ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების სწავლება საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, შესაბამისად უსდ-ს ამ სფეროში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. ჟურნალისტიკის პროგრამა ჯერ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ისწავლებოდა, შედეგ დაარსდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ბოლოს კი 2005 წლიდან ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის პროგრამები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაერთიანდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროგრამამ აკრედიტაცია 2011 წელს გაიარა. პროგრამა მუდმივად ახლდება და იხვეწება. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემატება ახალი საგნები და ახალ გამოწვევებს პასუხობს. პროგრამას მრავალი ანალოგი აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ. პროგრამა აგებულია ჟურნალისტიკის სწავლების საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით და ითვალისწინებს, როგორც ქართულ ტრადიციებს, ასევე უცხოურ გამოცდილებას, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის წარმატებისთვის და კონკრენტუნარიანობისათვის.

სფეროს უაღრესად პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროგრამისათვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თსუ-ს მულტიმედია ცენტრი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს უნივერსიტეტშივე შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება ჟურნალისტიკის მიმართულებით.

პროგრამა და მისი კურსდამთავრებულები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს მედია ბაზარზე. შესაბამისად, პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, როგორც ქვეყნის სოციალურ გარემოში ზოგადად, ისე ჟურნალისტიკის სფეროს გაჯანსაღებასა და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისა და კონტროლის მიმართულებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 17, 18 და 19 ნოემბერს. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეფასება უმეტესწილად განხორციელდა დისტანციურად, zoom პროგრამის მეშვეობით. შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, რომელნიც აგრეთვე ჩართულნი არიან პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში. შეხვედრა ასევე გაიმართა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. 2021 წლის 17 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა, რომელიც მიმართულია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძიერებისაკენ, კერძოდ უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი (თსუ კორპ 6), სადაც სამონტაჟოების, საეთეროების, რადიო სტუდიებისა და ბეჭდური გამოცემების ტექნიკურ შესაძლებლობებთან ერთად გაეცნენ სტუდენტების ნამუშევრებს, როგორც ბეჭდურ, ისე ტელე მედიაში. სააკრედიტაციო ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთანე ერთად აგრეთვე მიმოიხილეს თსუ-ს სხვა სასწავლო რესურსები, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძებო სისტემასა და ბაზებს.

აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, პროფესიულ და თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

<u>საგანმანათლებლო პროგრამისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა საბაკალავრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.</u> კერძოდ, პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და შედეგები, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის კურიკულუმით, მიღწევადი, რეალისტური და შრომის ბაზარზე ორიენტირებულია. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურია. პროგრამა აკმაყოფილებს სტუდენტთა მიღწევებისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობისთვის საჭირო ქვესტანდარტებს, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ქვესტანდარტში 2.6. ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაწესებულებისათვის რეკომენდაცია გაეწია შეფასების კრიტერიუმების მეტ დახვეწასთან დაკავშირებით. პროგრამას გააჩნია საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, შესაბამისი კვალიფიკაციით და ასევე, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, წარმატებით ხორციელდება ხარისხის შიდა და გარე შეფასების მექანიმზები.

- **რეკომენდაციები**

    1. რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და ქულები შესაბამისად იყოს გაწერილი აქტივობაზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

    1. სასურველია გადაიხედოს დუბლირებული კურსები და გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსში, ან მეტად გაიმიჯნოს მათი თემატიკა
    2. სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა იმ შესაძლებლობების თაობაზე, რასაც პროგრამა მათ სთავაზობს.

3. სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.
4. ინტერვიუს ფარგლებში გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მექანიზმი, ე.წ. აკრედიტაციის სიმულაციური ფორმატი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამა მუდმივად განახლებადია. აკრედიტაციიდან ხელახალ აკრედიტაციის პერიოდამდე გასული 10 წლის განმავლობაში პროგრამა მნიშვნელოვნად შეიცვალა, რათა მხარი აება სფეროში არსებული გამოწვევებისათვის და ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციებისათვის, განსაკუთრებით ციფრული მედიის და ჟურნალისტიკის ინტერდისციპლინარული სწავლების მიმართულებით. მისასალმებელია, ასევე, რომ სტუდენტების მთავარი პრაქტიკული რესურსი - მულტიმედია ცენტრი განახლდა და შეივსო ახალი ტექნიკური აღჭურვილობით. ციფრულ პლატფორმაზე იქნა გადატანილი პროგრამის თვითშეფასებისა და შესაბამისი პროცესები.

აქვე აღსანიშნავია პროგრამის განვითარებისათვის განხორციელებული ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ასევე მცდელობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნების სიღრმისეული შესწავლის მიმართულებით და პროგრამის სასწავლო მიზნების ამ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

- **ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხი, რომელიც იზიარებს წინამდებარე დასკვნაში მოყვანილ რეკომენდაციას 2.6. ქვესტანდარტის თაობაზე, რაც მისასალმებელია.

აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა ერთობლივი პოზიციის გათვალისწინებით დასკვნა დარჩა უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს მისცეს მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ჟურნალისტიკისსფეროში, რათა მათ შეძლონ: ➢ მედიის სფეროში (სამაუწყებლო, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში) პროფესიული საქმიანობის განხორციელება; ➢ კრიტიკული, პასუხისმგებლიანი და ეთიკური მედიის განვითარებასა და სტანდარტების დანეგრვაში წვლილის შეტანა; ➢ ჟურნალისტიკისა და მასმედიის დარგში პროცესებისა და მოვლენების ანალიზი სინქრონიასა და დიაქრონიაში; ➢ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან. იგი ქმნის და ავრცელებს ახალ ცოდნას, მაგრამ ამასთანავე, უნივერსიტეტის ტრადიციებსაც ინახავს. ჟურნალისტიკისსწავლების კუთხით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უზარმაზარი გამოცდილება აქვს. ჟურნალისტიკის სწავლება აქ 1949 წლიდან დაიწყო და არ შეჩერებულა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თსუ-ს ეს პროგრამა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისათვის ჟურნალისტური კადრების აღზრდაში. მიზნებში ნათლადაა ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის მიზანი ეხმიანება საქართველოს შრომის ბაზრის საჭიროებებს და გათვლილია, რომ მოამზადოს და შესაბამისი უნარებით აღჭურვოს მომავალი ჟურნალისტები, რომელნიც თავიანთ წვლილს შეიტანენ საქართველოში დემოკრატიული პროცესების განმტკიცებაში და ხელს შეუწყობენ დემოკრატიული, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებლიანი მედიისა და საზოგადოების განვითარების საქმეში. პროგრამა ასევე ემსახურება ჟურნალისტიკისა და მას კომუნიკაციის თანამედროვე, ეთიკური და მაღალპროფესიული დასავლური სტანდარტების დანერგვას და განმტკიცებას. პროგრამის მნიშვნელობას ადასტურებს დასაქმების ბაზრისა და აკადემიური პროგრამების შედეგებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევები, რომელნიც ცხადყოფს, რომ თსუ-ს საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და ბაზრის სპეციფიკას. ცალკე აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის ძალისხმევა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. გარდა საერთაშორისო ანალოგებისა, რომელნიც

გამოყენებული იყო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, პროგრამა აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო თანამშრომლობაში. მაგ. „ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის“ (Freie Universität Berlin) „ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან“ (IPK) და ნაყოფიერი თანამშრომლობა „დოიჩე ველეს აკადემიასთან“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ დასაქმების ბაზრის კვლევა ○ აკადემიური პროგრამების შედეგებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა ○ გაფორმებული მემორანდუმები ○ თსუ-ს ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ აღსანიშნავია პროგრამის განვითარებისათვის განხორციელებული ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ასევე მცდელობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნების სიღრმისეული შესწავლის მიმართულებით და პროგრამის სასწავლო მიზნების ამ მოთხოვნებთან შესაბამისობა.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა გაწერილი და ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიდან. სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის ჩამოყალიბებას დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის შედეგები ასევე შესაბამისობაშია კვალიფიკაციის დონესთან და დარგობრივი მახასიათებლის მოთხვნებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. პროფესორებთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან საუბრისას ნათლად გამოიკვეთა, რომ ისინი ჩართულნი არიან მონაცემთა შეგროვების, შეფასებისა და ანალიზის ყველა საფეხურზე. ცალკე აღსანიშნავია დამსაქმებელთა ჩართულობა შედეგების შემუშავების პროცესში.

შეფასების პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მიღებული შედეგები დაეხმაროს პროგრამას სრულყოფასა და გაუმჯობესებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დადასტურდა პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამიზნე ნიშნულები
- სილაბუსები
- ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროფესორებთან და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- დასაქმების ბაზრის ანალიზი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ერთიან ეროვნულ გამოცდებში ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენისა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და ისტორიის გამოცდების წარმატებით ჩაბარება. სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ზღვრის გადალახვის გარდა, პროგრამაზე მოხვედრის მსურველმა აბიტურიენტმა უნდა მიიღოს კონკრეტული გამოცდის მაქსიმალური ნედლი ქულის 40%+1, ხოლო უცხოური ენის შემთხვევაში 50%+1 ქულა (ქართული ენა/ლიტერატურაში (41 % +); უცხო ენა (51 % +); ისტორია (41 % +)). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია. წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები აგრეთვე შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პერსონალთან ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია თსუ-ს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა დაგეგმილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, ისევე როგორც სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის განვითრების მთელ პროცესში. სტუდენტები ტარდება პერიოდული გამოკითხვები კმაყოფილების შესასწავლად. აგრეთვე, მათ აქვთ შესაძლებლობა პროგრამის გაუმჯობესებისათვის თავიანთი აზრი გამოთქვან. დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ ისინი მუდმივად უწევდნენ კონსულტაციას უნივერსიტეტს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით.
პროგრამას, აგრეთვე, თან ერთვის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მთელ პროცესს.
საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 ECTS-სგან, რაც შემდეგნაირად ნაწილდება:

- 50 ECTS-საფაკულტეტო სასწავლო კურსები;
- 120 ECTS-ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (აქედან 70 ECTS სავალდებულო და 50 ECTS არჩევითი)
- 60 ECTS-დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსები (თუ ასეთს სტუდენტი აირჩევს)
- 10 ECTS- თავისუფალი კრედიტები (თუ სტუდენტი დამატებით სპეციალობას არ აირჩევს, თავისუფალი კრედიტები 70 ECTS შეადგენს).

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს. მისი სტრუქტურა მოქნილია და ლოგიკურად, თანმიმდევრულადაა აგებული. სასწავლო პროცესის დასაწყისში უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს შედარებით ზოგადი ხასიათისა და მომიჯნავე სასწავლო კურსებს, რაც ზოგადი განათლების მიცემასთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლის სპეციფიკის გაცნობასა და გაანალიზებას. ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტი განაწილებული სავალდებულო და არჩევით კურსებად. კურსებს ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს სწავლის თანიმდევრულობას და სწავლის შედეგების მიღწევას. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ კურსებს, რომელთა სწავლება იშვიათია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში (მაგ. კონვერგენტული ნიუსრუმი), რაც მისასალმებელი ნაბიჯია დარგის შემგომი განვითარებისთვის. პროგრამა უაღრესად პრაქტიკულია, რაც სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე მის უდავოდ ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს, ამათანავე უნივერსიტეტს თავადვე გააჩნია ყველა რესურსი სტუდენტისათვის პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში გვხვდება დუბლირებული კურსები (ახალი ამბების ჟურნალისტიკა), რაც პროგრამის ლოგიკური სტრუქტურიდან ამოვარდნილ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა აქვე უნდა დავაკონკრეტოთ, რომ დუბლირებულ კურსებს და თემატიკას არა აქვს სისტემური ხასიათი და ვერ შეუშლის ხელს პროგრამის წარმატებულ განხორციელებას. პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების გადანაწილება, შინაარსი და სილაბუსები იმგვარადაა შეკრული, რომ სტუდენტმა მაქსიმალური სარგებელი მიიღოს უნივერსიტეტში გატარებული წლებიდან და სწავლის შედეგებს უმტკივნეულოდ მიაღწიოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ კურსების სილაბუსები ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ○ კურიკულუმის რუკა ○ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პედაგოგებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გადაიხედოს დუბლირებული კურსები და გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსში, ან მეტად გაიმიჯნოს მათი თემატიკა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს. პროგრამის სწავლის ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქის სახით. პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნებაა. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია შეესაბამება კურსის სირთულესა და მისაღწევ შე-დეგებს. ინტერსიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებლებმა ისაუბრეს სწავლების პროცესზე, პროგრამის კომპონენტების თავისებურებებზე, მათ მნიშვნელობაზე პროგრამისათვის.
განსაკუთრებითაა გამოსაყოფი პრაქტიკული სწავლების წილი დარგობრივ საგნებში, რაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების მისაღწევად და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ითვალისწინებს როგორც ბაკალავრიატის დონესა და სწავლის შედეგების სპეციფიკას, ასევე დარგის მიღწევებსა და განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტიკის სფერო განსაკუთრებით შეიცვალა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ციფრული მედიის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად. მისასალმებელია, რომ პროგრამა და სასწავლო კურსები აგებულია იმგვარად, რომ

მაქსიმალურად გაითვალისწინონ ეს ცვლილებები და გავითარება. ზოგადად საქართველოში ჟურნალისტიკის მიმართულებით არსებული ლიტერატურა არ არის მრავალფეროვანი და ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ლიტერატურისა და სახელმძღვანელების ქართულ ენაზე თარგმნა, ისევე როგორც ახალი სახელმძღვანელოების გამოცემა ქართველი მეცნიერების ავტორობით, რასაც წარმატებით ახორციელებს უნივერსიტეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ კურიკულუმის რუკა ○ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა დიდწილად პრაქტიკულია და, შესაბამისად, მაქსიმალურად უზრუნველჰყოფს სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და განვითარებას. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკული უნარები პროგრამის ერთ-ერთ სწავლის შედეგშიც არის გამოყოფილი. პროგრამას პრაქტიკული უნარების განვითრებისათვის რამდენიმე გზა აქვს არჩეული. აღსანიშნავია პრაქტიკული სასწავლო კურსებისა და სტაჟირებების კრედიტ-კურსები. ჟურნალისტიკის პრაქტიკუმი მოიცავს თანამედროვე მედიის ყველა სახეს იქნება ეს ბეჭდური (გაზეთისა და ჟურნალის გამოცემა); რადიომედია, სატელევიზიო მაუწყებლობა და ფოტოჟურნალისტიკა, თუ სატელევიზიო პროექტის მომზადება, სატელევიზიო დოკუმენტურ კინო და ა.შ. უნივერსიტეტში ვიზიტისას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებასთან ერთად ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტუდენტების ნამუშევრებსაც, რომელებიც შესრულებულია სწორედ ჟურნალისტიკის პრაქტიკუმის ფარგლებში. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროგრამის სტუდენტები არაერთი კონკურსის პრიზიორებიც არიან, რომელიც მათ სფეროში იმართება. უნივერსიტეტს აქვს ინტერნეტ პორტალი www.multimedia.tsu.edu.ge რომელიც სპეციალურადაა შექმნილი, რათა ბაკალავრიატის სტუდენტებმა თავიანთი ნამუშევრების დემონსტრირება შეძლონ. მულტიმედია ცენტრის ბაზაზე არსებული ტექნიკური და ადამიანური რესურსები საშუალებას აძლევს სტუდენტებს დაეუფლონ თანამედროვე მულტიმედიურ ტექნოლოგიებს და მომზადებული შევიდნენ შრომით მედია-ბაზარზე. პროგრამაში ასევე გათვალისწინებული კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კურსები. უშუალოდ კვლევითი უნარების განვითარებისთვის პროგრამაში ორი სავალდებულო საგანი: „მედიის კვლევის მეთოდები და დიზაინი“ და საბაკალავრო ნაშრომი. აქვე აღსანიშნავია, სტუდენტების მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში და მათი ავტორობით გამოცემული კვლევითი ნაშრომები, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი კვლევითი პოტენციალის გასაძლიერებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ გასაუბრებები კუსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ○ გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სტუდენტები ნაშრომები ○ www.multimedia.tsu.edu.ge ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა იყენებს მრავალფეროვან სწავლა-სწავლების მეთოდებს. კერძოდ: ➢ ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი); ➢ დემონსტრირების მეთოდი; ➢ ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ➢ ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; ➢ დისკუსია/დებატები; ➢ შემთხვევის შესწავლა; ➢ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ➢ გონებრივი იერიში; ➢ როლური და სიტუაციური თამაში; ➢ ელექტრონული სწავლების მეთოდები

სწავლების მეთოდები შეირჩევა პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის (სილაბუსის ავტორის) მიერ შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და პროგრამის კომპონენტების სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტის შესწავლას და სწავლის შედეგების (დარგობრივი და/ან ტრანსფერული კომპეტენციების) მიღწევას როგორც პროგრამის კომპონენტის, ისე მთლიანად პროგრამის დონეზე. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები ასახულია პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ სტუდენტების ნამუშევრები ○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის და გამჭირვალეა.
სასწავლო კურსების შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან, როგორიცაა დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება, შუა სემესტრული რეიტინგული შეფასება და სემესტრის დასკვნითი შეფასება. ზემოაღნიშნულის დეტალური აღწერა მოიპოვება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. თუმცა ზოგიერთ სილაბუსში ასახულია „დასწრება/აქტივობის“ შეფასების ფორმა, ასეთი შეფასება დასაზუსტებელია. მაგ. მედიის კვლევის მეთოდებისა და დიზაინის სასწავლო კურსის სილაბუსში ლექციებზე დასწრება შეფასებულია 5 ქულით, იგივე რაოდენობა ქულით შეფასებულია აქტივობაც. ვინაიდან, დასწრება ვერ იქნება სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებელი საშუალება, შესაბამისად, ვერ იქნება შეფასების კომპონენტი ან მეთოდი, რომელიც ცალკე შეფასდება. რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და მხოლოდ აქტივობა (რომელიც სტუდენტის დასწრების გარეშე შეუძლებელია შეფასდეს) იყოს გამოყენებული.
ყველა სასწავლო კურსის დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება მაქსიმალური ქულის მინიმუმ 50 %-ის მიღების შემტხვევაში.
საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება ხელმძღვანელი/მრჩეველის შეფასებით (40 ქულა), სადაც ფასდება როგორც შენაარსობრივი, ისევე ფორმალური მხარე და პრეზენტაციით (60 ქულა). პრეზენტაციის (ანუ დაცვის) წინაპირობას წარმოადგენს მინიმალური ზღვარი, რომელიც შეადგენს 20 ქულას (40 ქულიდან). საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, რაც წარმოადგენს არანაკლებ 51 ქულას. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და ქულები შესაბამისად იყოს გაწერილი აქტივობაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტი სწავლების ყველა ეტაპზე იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სათანადო ინფრომაციას ამავე ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებისგან, ვისი ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები შემდეგია: პირველკურსელთა საბუთების მიღება, სტუდენტების დახმარება მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის ანკეტის შევსებაში, მართვის ელექტრონული სისტემიდან შემოსული სტუდენტთა კორესპონდეციაზე პასუხის მომზადება/გაცემა და ა.შ. უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს სტუდენტებისთვის გზამკვლევი, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც დეტალურად აღწერილია სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, სტუდენტების დატვირთვა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია და ა.შ. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის არსებობს ასევე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, სადაც სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების, მიღებული შეფასებებისა და მინიჭებული კრედიტების ნახვის საშუალება და სხვა. ასევე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს აქვს საშუალება საფასურის ეტაპობრივად გადახდის სემესტრის განმავლობაში. ადმინისტრაციული პერსონალის გარდა, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს დახმარებას აკადემიური პერსონალისგან სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტური კონსულტირების მეშვეობით: შუალედური და საბოლოო გამოცდის ფორმატის, მიმდიანრეობისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ. სტუდენტები ასევე რეგულარულად იღებენ ინფორმაციას ლოკალურ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე, ისევე როგორც გაცვლით პროგრამებზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო სამუშაოს შესახებ (კონფერენციები, კვლევები და ა.შ.) და შესაბამისად, ნაკლებად არიან ჩართულები ამ პროეცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსების სილაბუსები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები:

NA
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა იმ შესაძლებლობების თაობაზე, რასაც პროგრამა მათ სთავაზობს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ○ არ ფასდება საფეხურიდან გამომდინარე
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა, ასევე სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 13 (აქედან 1 სრული, 9 – ასოცირებული და 3 ასისტენტ–პროფესორი); ხოლო მოწვეულის – 22. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისია. მათ უმრავლესობას, გარდა სამეცნიერო საფუძვლებისა და აქტივობებისა, გააჩნია მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც ორივე, პრაქტიკულ და სამეცნიერო, კომპონენტს შორის ბალანსის დაცვის და სტუდენტების კომპლექსური სწავლებით უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. ამ გარემოებას არაერთხელ გაესვა ხაზი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუირებისას. პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ ათეულობით სამეცნიერო სტატია, ასევე დაწერილი აქვთ მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის წარმართვის მკაფიო ხედვა. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ხაზს უსვამენ მათ კომპეტენციას და ავტორიტეტს. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე, აქვს სამეცნიერო ნაშრომების, კონფერენციებში მონაწილეობის და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მოპოვების დიდი ნუსხა, რაც, ინტერვიუების შედეგებთან ერთად, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელებს, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია სტანდარტის შესაბამისი კომპეტენცია, ცოდნა და გამოცდილება და ჯამში შეუძლიათ უზრუნველყონ პროგრამის მდგრადობა. პროგრამის განხორციელებაში, აკადემიურ პერსონალთან ერთად, ჩართულები არიან პრაქტიკოსი ჟურნალისტები და სხვადასხვა მედიაგამოცემის რედაქტორები და პროდიუსერები, რომელთაც საშუალება აქვთ სტაჟირების ფარგლებში უმასპინძლონ სტუდენტებს და რეკომენდაცია გაუწიონ მათ დასაქმებაში. ეს კომპონენტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სტუდენტებში, რაც გამოიკვეთა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლების ინტერვიუირებისას. პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით, მას ემსახურება კომპეტენტური

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. დამხმარე პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე გაწერილია სპეციალური დადგენილებით.
აქვე აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი ემსახურება დარგის მიმართულებით არსებულ 3 პროგრამას - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.
- თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/
- აკადემიურიდა მოწვეული პერსონალის CV-ები
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პირადი საქმე
- სტრუქტურული ერთეულების და დეპარტამენტების დებულებები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. ამას გარდა, აკადემიური პერსონალირეგულარულად წარუდგენს ხარისხის სამსახურს ინდივიდუალურ ანგარიშებს გაწეული სამეცნიერო სამუშაოს შესახებ. საბოლოო ჯამში კი ამ ინფორმაციის ანალიზს ახდენს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს, მათ შორის სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვების საფუძველზე. შედეგები, ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და ზოგიერთ შემთხვევაში პერსონალს, ინდივიდუალურად. ამ გზით შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების (ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სხვ.) როგორც ფინანსური, ასევე, ორგანიზაციული მხარდაჭერისთვის. შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებასა და წახალისებაში. უნივერსიტეტისა დაფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურები ყოველწლიურად აანალიზებენ პერსონალის აქტივობას საგრანტო კონკურსებში და აფასებენ სამეცნიერო პროდუქტიულობას, რაც შემდეგ ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ქვეყნდება. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფას უსდ ახორციელებს. აკადემიური პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროექტებში მსოფლიოს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში და ახორციელებს სამეცნიერო კვლევით საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან ერთად. ამას გარდა, რამდენიმე პროფესორი ატარებს პერიოდულ საჯარო ლექციებს. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, ასევე ხორციელდება პროექტები, გამოიცემა სახელმძღვანელოები, ტარდება სემინარები და ტრენინგები, მათ შორის უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია ამ ღონისძიებების შესახებ და მონაწილეობენ მათში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან • თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა • თსუ-სა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდები • თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი.

.რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ემსახურება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკები, კომპიუტერული ბაზები და სარესურსო ცენტრები. სტუდენტებისა და ლექტორების განკარგულებაშია შემდეგი ელექტრონული რესურსები: Jstor, Ebsco, CambridgeUniversityJournals. უსდ-შო ვიზიტისას, საბიბლიოთეკო ბაზის შერჩევითი შემოწმებისას, ადგილზე აღმოჩნდა სასწავლო კურსისთვის არსებული

სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია e-learning.tsu.ge-ზე, Moodle-ის სასწავლო პლატფორმაზე და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. შერჩევითმა შემოწმებამ აქაც ხარვეზი ვერ აღმოაჩინა. პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თსუ-ს რამდენიმე სასწავლო კორპუსი: პირველი, მეორე, მეოთხე, მეექვსე, მერვე კორპუსები და თსუ-ს ტურიზმის სკოლის შენობა. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ნიუსრუმი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, რომელშიც ხდება ბეჭდური მედიის სასწავლო კურსის ფარგლებში მომზადებული პროდუქციის დაკაბადონება. ინტერვიუირებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით, რაც სწავლისა და პრაქტიკული სამუშაოსთვის არის საჭირო. განსაკუთრებით პოპულარობით მათში სარგებლობს საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი, სადაც შეუძლიათ ჟურნალისტური პროდუქტის შექმნა. აღსანიშნავია, რომ ეს ცენტრი აშშ საელჩოს დაფინანსებით არის მოწყობილი და აღჭურვილი, და გააჩნია თანამედროვე ტექნიკა, ტელე და რადიოსტუდიები და ნიუსრუმი მომავალ ჟურნალისტთა დახელოვნებისთვის. ფაკულტეტის შენობაში უზრუნველყოფილია უსაფრთხოების ზომები, მათ შორის კოვიდ-რეგულაციების კუთხითაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფაკულტეტის შენობის დათვალიერება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება • გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან • თსუ-ს ვებგვერდი • უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკის კატალოგი • ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ინვენტარის ჩამონათვალი • მულტიმედია ცენტრის ვებგვერდი http://multimedia.tsu.edu.ge/
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ–ს ბიუჯეტის საფუძველზე. პროგრამა ფინანსდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა - დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები.

საფაკულტეტო ბიუჯეტი დგება ყოველწლიურად თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანხების გათვალისწინებით. ბიუჯეტში გაწერილია ყველა პროგრამული ხარჯი, მათ შორის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები, წიგნადი ფონდის განახლების ხარჯი, გამომცემლობითი ხარჯები და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის ბიუჯეტი
- პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი
- გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური

განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. თუმცა, მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიურების პროცესში გარკვეულწილად გამოვლენილ იქნა მეტი ჩართულობისა და კომუნიკაციის საჭიროება. გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის. უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები, საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ჟურნალისტიკა“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ინტერვიუს ფარგლებში გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, გარე ექსპერტის შეფასებას, რომლის ფარგლებშიც აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს ხარისხის კულტურის ინსტიტუციურ განვითარებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და პროგრამულ კომიტეტებთან ეფექტიან თანამშრომლობას, ასევე დარგობრივ ექსპერტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა შესაძლო დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. პროგრამას „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ მოქმედი აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წელს, ხოლო პროცესში მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა რომ პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან, რომელიც ასევე აქტიურად იყო

ჩართული პროგრამის განვითარების და რეკომენდაციების ასახვის პროცესში. მიღებული გამოხმაურების შესაბამისად, აღნიშნულ იქნა პროგრამის მდგრადობა და ისტორია, განმახორციელებელი პერსონალი, პრატიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის სინთეზირება, რაც სტუდენტებს საკმაოდ საფუძვლიანი და ღრმა ცოდნის მიღების შესაძლებლობას აძლევს მედიის თეორიის, ისტორიის და მედიის კვლევების მიმართულებით. პროგრამას ასევე გააჩნია მხარდაჭერა აშშ–ს საელჩოსგან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დადასტურდა საელჩოსა და უსდ-ს თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო შესაძლებლობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ჟურნალისტიკა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (2011წ.)
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგების ანალიზი;
- გარე ექსპერტის მხარდაჭერის წერილი;
- აშშ-ს საელჩოს ხმარდაჭერის წერილი;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარებისათვის. აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შესაბამისად, არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილი პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმის შესაბამისად, პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

ინსტიტუცია აქტიურად მუშაობს, პროგრამის თვითშეფასების ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანის მიმართულებით. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით, პროგრამის ხელმძღვანელს ექნება საშუალება ყოველწლიურად განახორციელოს პროგრამის თვითშეფასების მომზადება ავტომატურად გენერირებად ინდიკატორებზე დაყრდნობით, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მუდმივი წვდომა თვითშეფასებასა და გამოკითხვის შედეგებთან, ეფექტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. პროგრამის განვითარების პროცესში მოკვლეულ იქნა როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო გამოცდილება. პროგრამების დადარება განხორციელდა

შემდეგი კრიტერიუმის გამოყენებით: სწავლის მიზანი, შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და საგნების შინაარსობრივი მხარე. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამების მსგავსება, როგორც ზოგადად პროგრამის, ასევე ცალკეული სასწავლო კურსების დონეზეც, იდენტიფიცირებულ იქნა განსხვავებები და უპირატესობები. შესაბამისად, გამოიკვეთა პროგრამის მსგავსება შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკა“ საბაკალავრო პროგრამასთან და ასევე, ტექსასის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჯონ კაბოტის უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ჟურნალისტიკა“; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის დებულება; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; • პროგრამის გარე შეფასება და მხარდაჭერის წერილები; • საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგების ანალიზი; • ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მექანიზმი, ე.წ. აკრედიტაციის სიმულაციური ფორმატი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

• პროგრამის თვითშეფასებისა და შესაბამისი პროცესების ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანა.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ჟურნალისტიკა საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნატალია თვალჭრელიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო შოშიტაშვილი

მალხაზ გაგუა

თამთა ცხოვრებაძე

ლანა ბოკუჩავა